ISSN 0132-601

# ნიანგი

23

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1561)· დეკემბერი, 1979, ფასი 20 კაპ·



ნახ. ნ. მალაზონიასი

„კადრები", რომლებიც ყველაფერს კადრულობენ, რათა სასურველი სავარძელი დაითრიონ!

ყვარლის რაიონის დამამზადებლები არ იცავენ თელავის ხორცკომბინატში საქონლის ჩაბარების გრაფიკს, ერთიანად მორეკავენ ხოლმე მსხვილფეხა რქოსანს, რის გამოც დროულად ვერ ხერხდება მათი მიღება, ეს კი იწვევს ტექნოლოგიური პროცესის დარღვევასა და ხორცის წონის დანაკარგებს.

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ჩქარა, კორიდა გავმართეთ! ვერ ხედავთ, რქებით გვაწვებიან?!

თელავის საკონსერვო ქარხანაში რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჩასაბარებლად ხშირად ძირნაყარი, არაკონდიციური ვაშლი მოაქვთ.



— ხომ გაგაფრთხილე, მანდ ნუ დაყრი, თორემ ვეღარ ამოხვალ-მეთქი?!

ქალაქ თელავის ზოგიერთი ქუჩა კეთილმოუწყობელია.



გამაფრთხილებელი ნიშნები ქუჩებისათვის.

# ხელშეკრუ-ლებებით ხელფეხშეკრულები

(დოკუმენტური პიესა ქალაქ თელავის სინამდვილიდან)

ავთანდილ ადეიშვილი,

„ნიანგის" სპეციალური კორესპონდენტი.

**მოსავლის მფარველი:** დიდება შენ, სიუხვისა და ბარაქის მომცემო თელავო! შენში ალივსო დიონისეს საწყაული — ღვინის ქარხნებში დაიწურა ათასობით ტონა ყურძენი!.. შენ გამშვენებენ და გაფართოებენ, ქალაქში იმრავლა საშუალო სკოლებისა და საცხოვრებელი ბინების მშენებლობამ. მომავალშიც მრავალი სიკეთე ელის თელავის რაიონს! თელაველო მშრომელებო, თქვენი მრავალჟამიერი იყოს!

**ენთუზიასტი:** ხვავი და ბარაქა არ აკლია თელავის რაიონს, უფრო და უფრო კეთილმოწყობილი ხდება ის სოფლები, სადაც მევენახეობაა განვითარებული, მთის სოფლებს (თეთრწყლებსა და კობაძეს) კი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. კარგი იქნება, რაიონის ფონდიდან გამოიყოს ფულადი სახსრები და მშენებლობის მე-12 ტრესტმა სოფელ თეთრწყლებში ერთი კარგი კულტურის სახლი ააშენოს!

(საუბარში ჩაერთვება სასოფლო მშენებლობის სამინისტროს საერთო სამშენებლო მე-12 ტრესტის მმართველი ჯემალ სეხნიაშვილი).

**ჯემალ სეხნიაშვილი:** მთიანი სოფლების ახლებურად გალამაზება ყველას ვალია! ჩვენი ტრესტი კი ააშენებდა კულტურის სახლს სოფელ თეთრწყლებში, ერთი გარემოება რომ არ გვაფერხებდეს: ვთქვათ, გეგმაში ჩაგვისვეს კულტურის სახლის მშენებლობა! აბა, რა იმედი უნდა მივცეთ მთის სოფლების მკვიდრთ, როცა ადრე დაწყებული მშენებარე ობიექტებისათვის საგარეჯოს, მეტეხისა და გურჯაანის აგურის ქარხნებს ჯერ კიდევ არ მოუწოდებიათ მილიონი ცალი აგური. თბილისის ხე-ტყის სარეალიზაციო ბაზიდან ჩვენამდე ვერა და ვერ მოაღწია ფოთლოვანი და წიწვიანი ჯიშების 330 კუბმეტრმა მასალამ, ამას ისიც უშლის ხელს, რომ თბილისის ბაზაში ხემასალით დატვირთული ვაგონები იცლება, მერე სხვა ვაგონებში იტვირთება და თელავის რაიონისაკენ იგზავნება, ვაგონები რომ პირდაპირ, ჩამოცლა-ავსების გარეშე, ჩვენკენ გამოგზავნონ, მომარაგების ლაბირინთები უფრო გამარტივდება.

**ენთუზიასტი:** საქართველოს მშენებლობის სამინისტროს თელავის 193-ე მოძრავ-მექანიზებულ კოლონას (უფროსი ივანე ბეჟუაშვილი) კარგი მშენებლობისათვის იმდენი გარდამავალი დროშა აქვს მიღებული, რომ, კულტურის სახლის აშენებაზე უარს არ გვეტყვის!

**ივანე ბეჟუაშვილი:** უარი რა საკადრისია! კარგი საქმე ჩაგიფიქრებიათ! დავუშვათ, რომ ოცნება სინამდვილედ ვაქციეთ — კულტურის სახლის მშენებლობა გეგმაში ჩაგვისვეს, ვიცი, რომ მასაც ის ბედი ეწევა, რაც — მშენებარე თელავის სახელმწიფო თეატრს, კონსერვაციიდან ძლივს რომ გამოვიხსენით, და, ახლაც დროულად თუ არ მოგვაწოდა ქუთაისის ქვის დამმუშავებელმა ქარხანამ 650 კვადრატული მეტრი გრანიტი და თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატმა — 660 კვადრატული მეტრი მარმარილო, კვლავაც დაკონსერვების ფაზაში ჩავარდება.

**მირიან გოლეთიანი** (ფიქალ-მარმარილოს კომბინატის დირექტორი): ხელშეკრულების თანახმად ჩვენი კომბინატი მრავალ ქვეყანაში აგზავნის მარმარილოს ფილებს. ზოგიერთ ორგანიზაციას მარმარილოს ფილებს დროულად იმიტომ ვერ ვაწვდით, რომ კომბინატში სადახლოს, სვანეთის, შრომისა და სალიეთის ქვის კარიერებიდან შემოდის არასტანდარტული, დაუმუშავებელი მარმარილოს ნედლეული, რაც იწვევს მსხვრევასა და დანაკარგების ხარჯების ზრდას, ეს უკვე ხელშეკრულების დარღვევაა და უარყოფითად მოქმედებს მარმარილოების ფილების ხარისხსა და რაოდენობის ზრდაზე. ჩვენს მუშაობას აფერხებს ისიც, რომ თელავის წყალკანალიზაციის სამმართველო საკმაო რაოდენობით არ გვამარაგებს წყლით, რომელიც აუცილებელია მარმარილოს ქვის ფილებად დახერხვისათვის. კარგი იქნება, თელავის რაიონში არსებობდეს ტექნიკური წყლის მაგისტრალი.

**ენთუზიასტი:** წყალკანალიზაციის სამმართველოს ზეინკლების ამბავი რომ ვიცი, ტექნიკურ წყალს ხალხს შეასმევენ და სასმელ წყალს თქვენი კომბინატის ჩარხებს მოაწვდიან. ისევ სჯობია, არ არსებობდეს ტექნიკური წყლის მაგისტრალი.

**მირიან გოლეთიანი:** ეჰ, ნეტავი სასმელი წყალი მაინც მოგვდიოდეს მუდმივად!

**ენთუზიასტი:** როგორ, თელავის რაიონს სასმელი წყალი უჭირს? აგერ ახალაშენებული წინმატიანის წყალსადენი წამში 400 ლიტრ წყალს იძლევა, როცა თელავისთვის წამში 200 ლიტრიც საკმარისია!..

**შოთა ნარეკლიშვილი:** (წინმატიანის წყალსადენის სამმართველოს უფროსი): ცენტრალურ აუზთან მისაყვან მაგისტრალში წყლის დებიტი დიდზე დიდია, მაგრამ რა გამოდის: აუზი, რომელიც „ალაზანმშენის" ტრესტმა ააშენა, ძველი საცერივითაა და წყალი სადრენაჟო მილებიდან იცლება, რის გამოც თელაველები ხშირად ხახამშრალნი რჩებიან.

**ენთუზიასტი:** სანამ „ალაზანმშენის" ტრესტი აუზის ნაპრალებს ამოკალავს და ამოაცემენტებს, მანამდე თელაველებმა წყალი პურპროდუქტების ქარხნის მიერ „გამომცხვარ"-გაწყლიანებულ-გაცომებული პურიდან მიიღონ! რა მნიშვნელობა აქვს, წყალს ონკანიდან მიიღებენ, თუ პურიდან?!

**ქორო:** მომწონდა აზრი, რომ თელავის პურის ქარხანას გაუნახევრდეს გასაცომებელი წყალი და დიდი რაოდენობით მიეწოდოს იგი ლიმონათის ქარხანასა და ღვინის ფალსიფიკატორებს!

**ოთარ გულიაშვილი** (საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე): თუ ამდენი ძალა შეგწევთ, იქნებ ისიც შეძლოთ, რომ ქ. რუსთავის ბინათმშენებლობის კომბინატის მიერ აგებულ სახლებში ახალმობინადრეებს სახურავიდან ჩამდინარე წყალი შეუწყვიტოთ! ხელშეკრულების თანახმად ოთახებში არ უნდა წვიმდეს!



ქ. თელავის გარეუბანში სარემონტო-სამშენებლო კანტორას (უფროსი ა. მანოშვილი) უნდა მოეწყო ნაგავსაყრელი, რაც ვერახგზით ვერ მოახერხა. სამაგიეროდ გამოჩნდნენ ნაგავხელგაშვებული „ხხვისგულიანები" და ქალაქის ცენტრი ლამის სანაგვედ აქციეს.

**ავთანდილ მანოშვილი** (თელავის სარემონტო სამშენებლო კანტორის უფროსი): ჩვენც კი გვაქვს სურვილი, რომ ნადიკვრისა და მარჯანიშვილის ქუჩებზე მდებარე კომუნალური ბინები გავარემონტოთ, მცხოვრებლები ავაცილოთ წვიმასა და თქეშს, მაგრამ ვერ ვახერხებთ, რადგან საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს ტრესტის — „საქკომუნმშენის" ბაზები არ გვიგზავნიან აგურს.

**ოთარ გულიაშვილი:** წელს ბავშვის წელია და გონივრული იქნება, წვიმაგამტარ ოთახებში მოკუნტრუშე ბავშვებს თელავის სამკერვალო ფაბრიკამ ლაბადები დაურიგოს.

**გიორგი ორთოიძე** (სამკერვალო ფაბრიკის დირექტორი): ბიჭუნებს კი დავურიგებთ ლაბადებს, გოგონებს კი ვერ შევპირდებით, რადგან მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო გაერთიანებამ დროულად ვერ მოგვაწოდა შერეული ქსოვილი, რის გამოც სავაჭრო ორგანიზაციებს ხელშეკრულებით ვერ გადავეცით 160 ათასი მანეთის გოგონების ლაბადები!

**ქორო:** დამშვიდდით, თელაველო გოგონებო! სხვა ქალაქების გოგონებსაც არ ექნებათ თელავური ლაბადები!

**ენთუზიასტი:** ჰეი, თქვენ თეთრწყლელებო! ზოგიერთი ორგანიზაცია ისეა ხელფეხშეკრული ხელშეკრულებით, რომ ჯერჯერობით არ ღირს თქვენთან კულტურის სახლის აშენება, რადგანაც საშენი მასალების მომარაგების ლოდინში თვალები დაგაწყდებათ!

(ხელშეკრულების ფარდა არ იხურება).

## ამონაწერი სასამართლოს განაჩენიდან

**მეხინკლე** უგუ-...

**ყოფდა.** თვითონ **უგულო** იყო და ხინკალსაც **უგულოს** აკეთებდა, რითაც **გულისხმიერი** მომხმარებლების **გულისწყრომას** იწვევდა. თვითონ კი **გული საგულეს** ჰქონდა და **გულიანად** იცინოდა, რადგან ზურგს უკან **გულადი** ბიძა ეგულებოდა...

სასამართლომ, **გულიკო გულისაშვილის** თავმჯდომარეობით, საგულდაგულოდ შეისწავლა **უგულავას გულმრუდე** საქმე, გაითვალისწინა მისი **გულწრფელი** აღიარება და **გულრიფშის** ერთ-ერთ საწარმოში **გულითადი** შრომისათვის მიამაგრა. გადაწყვეტილება **გულთბილად** მიიღეს.

**ზაურ ბადუაშვილი**

ნახ. მ. აბაშიძისა



გასაშლელი მაგიდა არის მეთქი, გითხარი და არ დამიჯერე!

## მუხის დაცვა მუხის კარების შეკვეთის თავზე!..

**სუსტი გული** ჩვენი საუკუნის უბედურებაა! ადამიანები პატრობენ რკინის, ქვისა და... მუხის გულებსაც კი!

და, აჰა, საუკუნის სენსაცია: აღმოჩენილია მუხის გული, თანაც — ორი!

მუხის გულების ადგილსამყოფელია **თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ავეჯის ინდივიდუალური შეკვეთის ფაბრიკის № 18 საამქრო,** ხოლო მათი მფლობელები გახლავთ აღნიშნული საამქროს ბრიგადირი **სულიკო მარკოზის ძე ადუაშვილი** და დურგალი **თევდორე ისაკის ძე პუპულოვი.**

ჩატარებულია ძალზე ძვირადღირებული ექსპერიმენტი, ვერ გეტყვით, პირველი და უკანასკნელი, თუ მეორე და უკანასკნელის წინა, მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: მართლა მუხის გული უნდა გქონდეს კაცს, რომ **232 მანეთად ღირებულ მუხის კარებში მომხმარებელს გადაახდევინო 670 მანეთი — 438 მანეთით მეტი!**

ამბობენ, **ადუაშვილისა და პუპულოვის** მსგავსი მუხისგულა ადამიანი ჯერ კიდევ იმდენია რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, რამდენი მუხაც არ დგას, ალბათ, საქართველოშიო, მაგრამ „ამბობენ" ერთია, სინამდვილე — მეორე.

იქნებ **თბილისის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ხელმძღვანელებმა** გაგვარკვიონ ამ საკითხში?!

**გიგა მახვილაძე**

ალმანზორ თავაძე

# საშიში დაავადებები



## კარიერიზმი

ამ სენით შეპყრობილი იყურება არა წინ, არამედ მაღლა და სულ დაწინაურებას ცდილობს. დაწინაურების შემთხვევაში ადგილი აქვს პათოლოგიურ ცვლილებებს: უქვეითდება მგრძნობიარობა, ყურადღება, მხედველობა, მეხსიერება, სმენა, ეუფლება განდიდების მანია. ვერ შორდება სკამს, მით უმეტეს, — კაბინეტს, ვერ ცნობს ნაცნობებს: განსაკუთრებით — ახლო მეზობლებსა და შორეულ ნათესავებს. თუ იცნო, ან თვალს არიდებს, ან თავს. სალამს იშვიათად იძლევა, რადგან, საკუთარი თავის გარდა, ვერავის ამჩნევს. ზოგჯერ საკუთარ თავსაც ვერ ცნობს, თუმცა სარკეში ხშირად იხედება. მოძრაობა უჭირს, რის გამოც დროის უმეტეს ნაწილს მანქანაში, ან კაბინეტში ატარებს. ნაცნობისა უფრო ეშინია, ვიდრე უცნობის, თუმცა ხელქვეითებთან და მთხოვნელებთან თავს მხნედ გრძნობს.

უყვარს სხვის ჩამორჩენილობასა და საკუთარ წარმატებებზე ლაპარაკი, რადგანაც საკუთარ თავში მუდამ კარგს ამჩნევს, სხვაში კი — ცუდს.

მთავარი სამკურნალო საშუალებაა დროული მოხსნა, ან დაქვეითება. ამის შემდეგ ყველა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ფუნქცია ნორმალური უხდება.



## ბიუროკრატიზმი

ძალიან გავრცელებული დაავადებაა. სპეციფიკური ნიშნები: გულგრილობა, ასოკირკიტობა, ქაღალდომანია, კარჩაკეტილობა. ამ სენით დაავადებული, ე. ი. ბიუროკრატი, გაურბის ადამიანებს, განსაკუთრებით — მთხოვნელებს. მათ მიღებაზე ილუშება, უფროსების დანახვაზე კი იბადრება.

საჩივარ-განცხადებებს უჯრებსა და თაროებში აგროვებს, ხალხს — მოსაცდელში, ფულს — სალაროში. თუ მასთან შესვლა მოახერხეთ, ტელეფონით საუბრობს, წერს, ან კითხულობს. თქვენ ცალი ყურით გისმენთ და ცალი თვალით გიყურებთ, კითხვებზე კი ქაღალდებში თავჩარგული გპასუხობთ. ორი სიტყვით გიშორებს თავიდან, გასაგებია, ერთი თვის შემდეგ გამოიარეთო.

მთხოვნელთაგან მხოლოდ ლამაზ ქალებს აქცევს ყურადღებას.

ცდილობს, სხვისი წარმატებები საკუთრად გაასაღოს. მისი ლოზუნგია: „საბუთები მუდამ წესრიგში იყოს!“ მუშაობაში და ადამიანებთან დამოკიდებულებაში იყენებს ისეთ მანკიერ მეთოდებს, როგორიცაა ნიველირება და ლავირება.

მთელ ცხოვრებას საკუთარი თავისა და კაბინეტის ტყვეობაში ატარებს და აბრეშუმის ჭიასავით იკლავს თავს.



ნახ. ნ. მალაზონიასი

## ლაყბობა

გამოსაცნობი ნიშნები: გრძელი ენა, პატარა ჭკუა. გაურბის მარტოობას, საქმეს და ეძებს მსმენელებს. ჭორიკანასაგან განსხვავებით, ხმამაღლა, საჯაროდ, გატაცებით და გაუფრთხილებლად ლაყბობს ყველგან, ყველასთან და ყველაფერზე.

ამ დროს კარგავს საკუთარი თავის, ადგილისა და დროის კონტროლს, ამიტომ ვერ გრძნობს, ვინაა მისი მსმენელი, რა ზეგავლენას ახდენს მასზე, ან, საერთოდ უსმენენ თუ არა.

საუბრისას ხშირად გადახტება ხოლმე ერთი თემიდან მეორეზე, ზოგჯერ ერთხელ ნათქვამს რამდენიმეჯერ იმეორებს, ამიტომ საუბარს ვერასოდეს ამთავრებს.

ყბედთან შეხვედრას ყველა ერიდება, რადგან იგი ადამიანებს ართმევს დროს და აბეზრებს თავს.

უთქვამთ, მოლაყბე ვინ განკურნა და ყრუმო.

---

ალექსანდრე ტაბატაძე

## ერთი შეხედვით

ერთი შეხედვით, შენც ჩვენთანა ხარ,
ჩვენთან იბრძოდი შენც იმთავითვე!
გადაქანცული გარჯით, ხანდახან,
მარჯვენას ფრთხილად გულზე დაიდებ!

გაიმეორებ: „ახლა სხვა დროა,
ხალხისგან განზე გამდგარი ნუ ხარ!“
და ტრიბუნიდან მაღალფარდოვან
სიტყვებს და ფრაზებს გვთავაზობ უხვად!

საკითხს აყენებ, პროექტს იწონებ,
ნაკლოვანებებს ხშირად ეხები
და კაცი საქმეს სწირავ სიცოცხლეს,
ოღონდ ეგ არის: ერთი შეხედვით!

როცა მიდგება საქმე საქმეზე,
უკან იხევ და უჩინარდები,
თვით იმალები, სხვას კი აქეზებ,
ქარს მიაქვს სიტყვა — გულში ნადები!

ცხოვრებას თითქოს კვალში მიჰყვები,
ქარტეხილებში მედგრად ეხვევი,
ჩვენთან ხარ აზრით, საქმით, სიტყვებით,
ოღონდ, ვაი, რომ ერთი შეხედვით!



ზოგიერთ ჩვენს ავტოპროფილაქტორიუმში ნაკლებად ზრუნავენ ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ცუდად არის დაყენებული სამედიცინო მომსახურება, არა აქვთ მედპუნქტი, საჭირო მედიკამენტები, არა ჰყავთ მაღალკვალიფიციური ექიმები!.. საგანგაშო და შემაშფოთებელია ის მდგომარეობა, რომ პროფილაქტორიუმის მუშაკები უყურადღებოდ და უხეშად ეპყრობიან კლიენტებს, რაც ხშირად საბედისწერო ხდება ადამიანისათვის. მაგალითად, ერთ-ერთ პროფილაქტორიუმში კლიენტს (ცნობილ მოკრივეს) სათადარიგო ნაწილის გამოცვლაში, რომლის ღირებულება არ აღემატებოდა 1 მანეთსა და 75 კაპიკს (აღნიშნული ნაწილის სახელი განგებ არ გვინდა ვახსენოთ!) ზედმეტი 50 მანეთი მოსთხოვეს. გულად კლიენტს ამის გაგონებაზე უეცრად გული გაუსკდა. პროფილაქტორიუმის მუშაკებს ოდნავი გულისხმიერება მაინც რომ გამოეჩინათ, ჯანღონით სავსე მოკრივე დღესაც რინგზე იქნებოდა. აბა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ? — იკითხავთ თქვენ. როგორ და, არ უნდა მიეხალათ პირში ზედმეტი საფასურის ოდენობა, ჯერ საამისოდ უნდა განეწყოთ და ასე ეთქვათ: თქვენთვის საჭირო მანქანის ნაწილი ძნელად საშოვნელია, ამიტომ, შეიძლება, ცოტა ძვირი დაგიჯდეთ და გამაგრდითო! შემდეგ მისთვის უნდა გაესინჯათ მაჯა, გაეზომათ წნევა, გაეკეთებინათ ნემსი, მიეცათ ნერვების დამამშვიდებელი ეფექტური წამალი, მოეთავსებინათ კარდიოლოგიურ განყოფილებაში, გაეთვალისწინებინათ მოსალოდნელი საფრთხე და მხოლოდ ამის შემდეგ ღიმილით ეთქვათ ზედმეტი თანხის რაოდენობა. პროფილაქტორიუმის მუშაკთა ასეთმა გულახდილობამ და პირდაპირობამ კი სიცოცხლეს გამოასალმა სრულიად ჯანმრთელი, რკინის მკვნეტელი კაცი!..

## ადამიანებო, იყავით ფრთხილად...

იმავე პროფილაქტორიუმში, მართალია, სიკვდილს გადარჩა, მაგრამ სამუდამოდ დაინვალიდდა ერთი უშიშარი ახალგაზრდა მთამსვლელი. კიდევ კარგი, რომ მას მანქანის ნაწილის გამოცვლაში მხოლოდ 40 მანეთი მოსთხოვეს ზედმეტი!..

ადამიანებო, იყავით ფრთხილად! — გახსოვდეთ, რომ ავტოპროფილაქტორიუმებში ექიმის ნებართვის გარეშე შესვლა ყოვლად დაუშვებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის.

ნოდარ ბართაია

ნახ. მ. აბაშიძისა



მე რომ მკითხოს კაცმა, თევზი უნდა მოუყარო ყველა ანტიკოდს და წყალში გადაუძახო!

— კი მაგრამ, წყლის გაბინძურება რომ კანონით არის აკრძალული?!

## [illegible]

● ქორვაჟარმა ყიდა ზუთხი, ცოცხალი და „იკრა“!.. „დაუფასეს“ ამაგი და — ხუთი წელი იკრა!

● გამფლანგველი მხოლოდ ნაქეიფარ ღამეებს ითვლიდა, ვინაიდან დღეები დათვლილი ჰქონდა.

● საქმოსანი ანუგეშეს — რადიკულიტისა ნუღარ გეშინია, რაკი მშრალზე დაგსვესო.

ვახტანგ ჯავრიშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ეტყობა, მართლა ოთხმოცდაცამეტი ჩაისხეს!

ვანო ცინცაძე

## ვის უშენებ სასახლეს?

ამ სენს, მავნეს, სამარცხვინოს, ჰქვია სახლომანია!..
და რომ ასე გაგიტაცა, ძალზე დასანანია!
ათასობით კაცის სათქმელს გეუბნები (არ ვხუმრობ!):
სახლს აშენებ საცხოვრებელს, კულტსახლსა თუ სასტუმროს?!
სხვა საქმეა, ერს და მამულს რომ უზრდიდე მრავალ შვილს!
შენ ერთი გყავს მემკვიდრე და ისიც გარბის ქალაქში!..
მაშ, რად წვალობ, იხარჯები და ჯახირობ ამდენსა?
თორმეტ, თხუთმეტ, თვრამეტ ოთახს ვის უტოვებ ანდერძად?!
ასეთ შრომას, მგონი, არ აქვს არც აზრი და არც ფასი!
ვისთვის გინდა, თქვი, ამდენი ცარიელი დარბაზი?!
ჭერი ყველას დაელოცოს, ვინც აშენებს, აახლებს!
შენ კი, კოხტა სახლის ნაცვლად, ვის უშენებ სასახლეს?!
წლობით ეძებ, ეზიდები, ლესავ დღისით, ღამითა!..
ვის აკვირვებ ოთახების სიგრძითა და განითა?!
არცა მშურს და არცა გკიცხავ, მეცოდები უბრალოდ!
ეგ ზედმეტი შრომა შენი, მწამს, ჩაივლის უკვალოდ!..
უპროექტოდ, უნახაზოდ, უგემოვნოდ რომ აგებ, —
სახლი მოგწონს მარტო შენ და შენს დამხმარე-ქომაგებს!
ფასადს „ამკობს“ ჯიხვთა, ლომთა რკინის „მონუმენტები“,
სამარცხვინოდ შეთითხნილი, შეღებილი კედლები!
რომ შეხედავ, მოაწვება სევდა გულს და ბოლმა — თვალს!..
ვაი, ასეთ ჩუქურთმას და ვაი, ასეთ მოხატვას!
გარს არტყია ეზოს ლობე — გალავანი ქვითკირის,
თითქოს, ვინმე თავს გესხმოდეს! (ნეტავ, ვინ რას გიპირებს?!)
შენს სიბეცეს ვჩივი, თორემ განა — ქვას და განა კირს?!
ეზო საკონცენტრაციო გეგონება ბანაკი!
მასში, ალბათ, მალე, ჩიტიც ველარ ჩამოფრინდება,
(რაც შენ თვითონ მიგაჩნია სახელად და დიდებად).
ხან ყიდულობ, ხან იპარავ ცემენტს, გაჯს თუ მავთულხლართს!..
მეზობლებსაც დაემდური — სახლით ისე გართულხარ!..
თქვი, ეს სენი, ახლა რომ გჭირს, (მე მაკვირვებს ძალიან!)
მეშჩანობის, მიბაძვის თუ უვიცობის ბრალია?!

ჯერ არ აღმოფხვრილა ბიუროკრატიზმი და ფორმალიზმი. ბიუროკრატიული გამოვლინებანი განსაკუთრებით საგრძნობია ხალხისათვის მოსახლეობის მომსახურების სფეროში, სამედიცინო დაწესებულებებში, სანოტარო კანტორებში.

გაზეთებიდან.

ნახ. გ. ლომიძისა



ძირკავენ და ვერ ამოძირკვეს!

ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები იმედს ამყარებენ არა შრომის კარგ ორგანიზაციაზე, არამედ, ცდილობენ რა მიჩქმალონ თავიანთი საქმიანობის ხარვეზები, ყოველნაირად ლამობენ გადასინჯონ გეგმები შემცირების მიზნით, ზოგჯერ ადგებიან ნამატებების, სახელმწიფოს მოტყუების გზას.

გაზეთებიდან.




პარდისერი სამპალის მიმა.

# ნიანგის მემუარები

**მარიკა გველესიანი,**
**ელგუჯა მერაბიშვილი,**
„ნიანგის" სპეციალური კორესპონდენტები.

**გამიგონია,** ისე ვერ დაწერ მემუარებს, თუ ქვეყანას არ შემოუარეო. ავდექ და მეც ალმა გავყევი „იკარუსების" ქარავანს, რამეთუ მემუარების წერა განვიზრახე.

### ქება პირველი

**ავტობუსი** ზედ მივაგდე კასპის ავტოსადგურსა და შევძახე შიგ მყოფთა — „დავი"-მეთქი! „დარაბაო"! — მიპასუხეს. მომეწონა პასუხი, რადგან შემინულ კედლებიან ნაგებობას, ჩამსხვრეული დიდი მინების ადგილას, დარაბებივით ჰქონდა გაკრული ფირფიცრები. სალად გადარჩენილი მინა მოვძებნე, იქიდან უნდა შემეხედა, მაგრამ სიპ ქვაზე დამიცურდა ფეხი!..

გამომეგებნენ და ამიხსნეს, **გორის ფილიალად** ითვლება ეს სადგური და ქვებიც იმიტომ დაგორავენო. ამ დროს მე შეშინებული ვიყურებოდი სადგურის მისადგომებთან პირდაღებული ორმოებისაკენ და პირჯვარს ვიწერდი. კიდევ კარგი, ფეხი იქით არ გადამიცდა-მეთქი...

დისპეტჩერმა შიში გამიქარწყლა, **კასპის სამშენებლო-სარემონტო კანტორასთან** ხელშეკრულება გვაქვს დადებული, თუ რამე იტკინე, კომპრესად ის ქაღალდი გამოგადგებაო.

მადლობის მეტი რა მეთქმოდა?! გამოვბრუნდი, ოღონდ ეს ამბავი კუდზე დავიჭდიე.

### ქება მეორე

**გორის** ავტოსადგურის კონტროლიორებმა მეტი ყურადღება გამოიჩინეს: არაფერი იღრძოსო, ხელკავით გამასეირნეს ოღროჩოღრო ბულვარზე. ავტობუსების სადგომების გასწვრივ გავიარე, თბილისიდან მახარაძეში მიმავალი „იკარუსი" მომივიდა თვალში. მძღოლს ვკითხე, ჩვეულებრივი მგზავრების გარდა, საპატიო მოგზაურებიც ხომ არ გყავთ, ინტერვიუ მინდა ჩამოვართვა-მეთქი. როგორ არაო, მიპასუხა, მართალია, ბილეთები არა აქვთ, მაგრამ ჩემს მიერ მითითებულ სათავითაო ადგილებზე სხედანო. 5 კაცი გამაცნეს, ისინი მოხიბლულები იყვნენ კულტურული მომსახურებით, ყველას სათითაოდ ჩამოვართვი ხელი და ბედნიერი მგზავრობა ვუსურვე.

**ხაშურიდან რუსთავისაკენ** მიმავალ მგზავრებში სამი საპატიო მოგზაური აღმოჩნდა, ხოლო ოთხს მძღოლისაგან ყუიდან ძირშივე მოხეული ძვირადღირებული ბილეთები ეჭირათ ხელში და თავს იწონებდნენ, შოფერს გეგმის შესრულებაში ვეხმარებითო. გული ისე ამიჩუყდა, ყველა გადავკოცნე.

რაკი დაინახეს, რომ ყუიდან მოხეული ბილეთები ასე მომეწონა, **ცხინვალ — თბილისის** მარშრუტით მიმავალ ავტობუსში სულ ბილეთების ფრიალით დამხვდნენ. მხოლოდ ერთი აღმოჩნდა საპატიო მოგზაური. გახარებული გამოვბრუნდი.

ოღონდ ერთმა რამემ დამწყვიტა გული — საგზაო დოკუმენტებს ძალიან ძუნწად შემოუნახავთ საავტომობილო გზების ამ გაბედული ლოცმანების ვინაობა: **„თბილისი — მახარაძე, „იკარუს — 255", 22-24, მძღოლი ლუზინი". „ხაშური — რუსთავი, „იკარუს — 250", 20-24, მძღოლი გრიგალაშვილი", „ცხინვალი — თბილისი, ავტობუსი 57-79", მძღოლი ნადირაძე".**

### ქება მესამე

**ხაშურში** მელოდნენ. სასწრაფოდ მოაშორეს მოედნიდან ავტობუსი **„ხაშური — ქარელის"** ტრაფარეტით **(ნომერი 09-06-გაპ),** რომელიც, მიუხედავად კონტროლიორის ნიშნებისა, მოძრაობისას იტენებოდა მგზავრებით.

მე წითელ სამკლავურიანთა საპატიო ყარაულს ჩამოვუარე და ავტობუსებისაკენ აღარც გამიხედავს.

### ქება მეოთხე

**ზესტაფონის** ავტოსადგური სახელდახელოდ მოწყობილ საევაკუაციო პუნქტს წააგავს, აქ ვერც ავტობუსის სადგომებს ნახავთ და ვერც მარშრუტების დასახელებას. სადგურისწინა ღრმულები გვაფიქრებინებს, რომ დინოზავრებს აქაც გაუვლიათ და იქვე მდგარი კაკლის ხეც, ალბათ, მათ გადაკორტნეს, ხის ძირას წითლად შეღებილი რკინის რკალია მიწაში ჩაბეტონებული, რკინას კავები აქვს, რაზეც მგზავრების ჩანთები და კალათებია გაკიდული. უკეთეს მომსახურებას ვერ ინატრებს კაცი!

სხვათა შორის, წითელ სამკლავურიანთა საპატიო ყარაული აქაც დამახვედრეს და ეს ამბავიც კუდზე დავიჭდიე.

### ქება მეხუთე

**ქუთაისში** წვიმდა. წვიმდა გარეთაც და ავტოსადგურშიც. თბილისიდან სოხუმისაკენ ავტობუსის გასვლას აღარაფერი აკლდა. მძღოლმა მითხრა, უბილეთოები კი მყავანან, ბარე ოცამდე მგზავრია, მაგრამ კაცია ჩასული მათთვის ბილეთების ასაღებადო. გავიკვირვე, ამდენ ბილეთს ერთი კაცი როგორ აიღებს-მეთქი?! ნათესავები არიან და საერთო პაპა ჰყავთო, მიპასუხა. წუთიც არ გასულა, რომ მძღოლმა ბილეთები ჩამოურიგა „ნათესავებს" და შემომცინა, ჯერ უწყისი უნდა გაგესინჯა, ჯიგარო, ახლა ვერაფერს მიზამო. კი მაგრამ, ეგენი შორიდან მოდიან, ქუთაისში აღებული ბილეთები როგორ გამოადგებათ-მეთქი? ჯერ მცირეწლოვანები არიან და ნახევარი ბილეთის მეტი არ ეკუთვნითო. **ავტობუსი (ნომერი 73-15-გან)** დაძრა, ასე იცის საავკოვმაო, მომაძახა და წყლით სავსე ორმოებში შეცურდა.

**წყალტუბო — ბათუმის** მარშრუტით მიმავალ მგზავრებშიც აღმოჩნდნენ „მცირეწლოვანები" (სამი მძიმეწონიანი კაცი!), რომლებმაც ასევე ნახევარი ბილეთები შეიძინეს ქუთაისიდან **(„იკარუს — 250", ნომერი 44-48-გაიუ, მძღოლი ი. კახიძე).**

აქ თავი გამოიდო რამდენიმე მძღოლმა და მიმტკიცებდნენ, „მცირეწლოვანი" მგზავრები ჩვენში განუსაზღვრელი შეღავათებით სარგებლობენო. ვუსმინე. ვუსმინე და ეს ამბავიც კუდზე დავიჭდიე.

### ქება მეექვსე

**ხაშურში** ამჯერად წითელსამკლავურიანთა საპატიო ყარაული აღარ დამხვედრია, მეწყინა. უკან დაბრუნება გადავწყვიტე და ერთ ავტობუსს მივადექი. **თბილისიდან ლანჩხუთისაკენ მიმავალი ავტობუსის (ნომერი 37-99-გგა) მძღოლი ა. ჩხაიძე და კონტროლიორი ს. გოგოლაძე** ძალიან უპატივცემლოდ მოეპყრნენ საპატიო მგზავრებს — ზოგს ბილეთის აღება მოსთხოვეს, ზოგიც ძირს ჩაიყვანეს: იმ სადგურებში, სადაც თქვენ მიდიხართ, ეს ავტობუსი არ ჩერდებაო (ეს მაშინ, როცა მძღოლს საბუთები ხელთ ჰქონდა და სადგურიდან გასვლას აპირებდა). კი მაგრამ, აქამდე თუ ჩერდებოდა, ახლა რატომ [illegible] აღარ ჩერდებაო! — აყვირდნენ საპატიო მგზავრები, მაგრამ პატივი აღარავინ დასდო, რომ მოესმინათ.

ასეთივე ბედი ეწიათ **ხაშური—ახალციხის** მარშრუტით მიმავალი ავტობუსის **(ნომერი 26-64-გაიუ)** საპატიო მგზავრებს. მათ გულთბილად დაემშვიდობნენ **მძღოლი თ. შათირიშვილი და კონტროლიორი ს. კვინიკაძე.**

გასაოცარიაო, უკვირდათ ჩვეულებრივ მგზავრებს, ასეთი რამ საპატიო მგზავრებს ჯერ არ დამართიათო.

ვუსმინე, ვუსმინე და ეს ამბავიც კუდზე დავიჭდიე.

### P. S.

**ქუთაისში** ყოფნისას ერთმა მძღოლმა განზე გამიხმო და მითხრა, თუ ჩვენი რესპუბლიკის ავტოსატრანსპორტო საწარმოების უფროსებიდან ვინმე გამოჩნდება და იტყვის, ავტობუსს მე ვინახავ და მისი ტექნიკური მომსახურებაც ჩემს საწარმოში უფასოაო. კბილებში მომჭერით თავი!

### რედაქციისაგან

**საქართველოს** რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული ავტოსატრანსპორტო საწარმოების ხელმძღვანელთათვის ვაცხადებთ კონკურსს თემაზე — „ვისია ავტობუსი?"

ამ კითხვაზე საუკეთესო პასუხისათვის დაწესებულია პრემია.

ველით თქვენს პასუხებს, მეგობრებო!

[illegible] სის ზოგიერთ ხალხმრავალ ადგილას ვერ იქნა და ვერ აღიკვეთა იმპორტული საქონლით მოვაჭრეთა თავმოყრა, ნიანგს წინადადება შემოაქვს. იქვე ახლოს უქმად მდგარი სატელეფონო ჯიხურები გადაკეთდეს სავაჭრო ფარდულებად, რითაც საშუალება მიეცემათ ქორვაჭრებს, გამოაფინონ თავიანთი საქონელი და იქონიონ შესაფერისი რეკლამაც ადვილი შესაძლებელია, ასეთმა ყურადღებამ მათ პრეისკურანტის შემოღება და მტკიცე ფასებით ვაჭრობაც კი აფიქრებინოს!

## ხელმარჯვე ილუზიონისტები

**ამას** წინათ **შავი პალტო** (ხაზი და პალტო ჩემია, **ნ. ქ.**) ქიმწმენდაში გავარბენინე. ჩაიბარეს პალტო, შავი ფერის, რა თქმა უნდა, გამომიწერეს ქვითარი თანხის გადახდის შემდეგ და მითხრეს, ერთი კვირის შემდეგ მოდით, ისეთს გავხდით ამ თქვენს პალტოს, შემკერავმაც ვერ იცნოსო.

აბა, თქვენ იცით-მეთქი, ვუთხარი და არხეინად წამოვედი შინ.

ერთი კვირის შემდეგ მივედი. ახედ-დახედა ქიმწმენდის თანამშრომელმა ჩემს ქვითარს, მიქექ-მოქექა რაღაცა უჯრაში, მერმე სადღაც დარეკა და ბოდიშის მოხდით მითხრა, ერთი კვირაც გვაცალეთო. (ამ ქიმწმენდის მისამართს შეგნებულად არ გიმხელთ, რადგან ყველა ქიმწმენდაში ასეთი მდგომარეობაა).

ვაცალე და მივედი ერთი კვირის შემდეგ. ისევ დახედა ჩემს ქვითარს, ისევ სადღაც დარეკა, ისევ მომიხადა ბოდიში და მთხოვა, კიდევ ერთი კვირაც უნდა დაიცადოთო.

დავიცადე და მივედი კიდევ ერთი კვირის შემდეგ. დახედა ჩემს ქვითარს ქიმწმენდის თანამშრომელმა, სახე გაებადრა, ჩამოიღო საკიდიდან ქათქათა **თეთრი პალტო** (ხაზი ჩემია, პალტო — სხვისი. **ნ. ქ.**) და გამომიწოდა, სიხარულში დაგეცვითოთო.

— უკაცრავად, მაგრამ ეს ჩემი პალტო არ არის — ვთქვი ღიმილით.

— როგორ გეკადრებათ! რას ჰქვია, თქვენი არ არის?! ქვითარი ეს არის?! ნომერი, მისამართი ესაა?! თქვენს პალტოს ველარ ცნობთ?! — მითხრა დაბღვერით.

— მე შავი პალტო ჩაგაბარეთ, ეს კი თეთრია!..

— ვაჰ, მადლობის მაგიერია? გავწმინდეთ თქვენი პალტო, ქალბატონო, ქიმწმენდაში გავწმინდეთ და ისევ შავი ფერის როგორ დარჩებოდა?! ტეპერ, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ბელი კონ ვ მოდე, ნეუჟელი, ეს აღარ იცით?!

— რა შუაშია ბელი კონ?! რა შუაშია მოდა?! სად არის ჩემი შავი პალტო?! — აღელვებულმა თვალები ავაპარპალე.

ქიმწმენდის თანამშრომელმა მიყურა, მიყურა და უცებ გაბრაზებულმა მომახალა:

— არ გეწყინოთ და, დიდი უმადური ვინმე ყოფილხართ! პალტო ხომ არის?! ჩაცმა ხომ შეიძლება?! რა მნიშვნელობა აქვს, რა ფერისაა?! თუ მაინცდამაინც შავი ფერის გინდათ, რომ იყოს, პრაშუ, გადაიხადეთ სალაროში საფასური!

— კიდევ ფულსა მთხოვთ?!

— ვაჰ! აბა, მუქთად ვინ შეგიღებავთ ამხელა პალტოს?! თეთრი შავი გავხადოთ, იოლი საქმე გგონიათ?!

მართლაცდა, არ არის იოლი საქმე!

**ნანა კანდელაკი**

## აბა, ვისი საქმე არის?!

მეტროში ვარ... ვილაც ვაჟი, —
ლომს რომ კისერს მოსტეხს ჯანით,—
ჩვენს თვალთა წინ, ჩვენს
სიმდიდრეს—
ტყავის სკამებს — სერავს დანით!..

ვყვირი: „შევკრათ ეგ მუტრუკი,
ნუთუ, გული არ გაქვთ არვის?!"
ხმები: „თავი დაგვანებე,
ეგ რა ჩვენი საქმე არის?!"

თეატრიდან გამოსული
ნამდვილ ტრაგედიას ვუმზერ:
გრძელთმიანი „მოყმე ვინმე"
საყურეს გლეჯს ასულს ყურზე.

ვამბობ! „ხალხნო, წინ აღვუდგეთ,
ნუთუ, გული არ გაქვთ არვის?!"
ხმები: „ჩვენი რა საქმეა,
მილიცია რისთვის არის?!"

ჩვენი ერის ნაღდი მტერი
სვეტიცხოვლის კედელს კაწრავს,
კიდევ კარგი, ქვითკირს ცეცხლი
არ უჩნდება, თორემ დაწვავს!..

გავიძახი: „შევაჩეროთ!
ნუთუ, გული არ გაქვთ არვის?!"
ხმები: „გული კი გვაქვს, მაგრამ,
რა ვქნათ, თავი არ გვაქვს შარის!"

ვჭვრეტ სარკმლიდან: ვილაც ბიჭი
მთვარის შუქზე ისე ანცრობს,
ისე ნკურავს ჯიქის თვალებს, —
„ჟიგული" სურს გაიტაცოს!..

ჩემს მეზობელს ვეაჯები:
„ვცემოთ ქურდი ცულის ტარით!"
მეზობელი: „მაგ „ჟიგულის"
მეპატრონეც ქურდი არის!"

უსინდისო გამყიდველი
გასაყიდელს ისე წონის, —
ორ ტონას რომ გაასაღებს,
თავად რჩება ერთი ტონის.

„გირები რომ თავში ჩავცხოთ,
ხომ ღირსია ეს იუდა?!"
ხმები: „რა ქნას საცოდავმა,
მაგასაც ხომ ჭამა უნდა?!"

უხამსი ზნე სხვაც ბევრი გვჭირს,
მაგრამ არ მსურს, გრძლად ვთქვა
ლექსი.

ყველა იმ ზნეს გულგრილობის
ნიადაგში უდგას ფესვი.

გნამდეთ, მანამ ვერ ავუნყობთ
შეურცხვენელ ნაბიჯს დიდ დროს,
სანამ, ხალხნო, გულგრილობის
ამ სქელ ყინულს არ გავიდნობთ!

**ჯიშვარდ ისაკაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე ზაურ ბოლქვაძე. სარედაქციო კოლეგია: ზ. ბაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომიძე, ნ. მალაზონია [illegible], გ. ნიშნიანიძე, ა. სიხარულიძე [illegible], გ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე ● ტექნიკური რედაქტორი მ. კუხალაშვილი ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი" ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ● [illegible] 26/XI-79 [illegible] 13/XII-79 [illegible] 70×108 1/8 [illegible] 1,7 ● [illegible] ● შეკვ. 2773 უე 00853 [illegible] Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги» ● Издательство ЦК КП Грузии ● Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. [illegible] ავტორებს არ უბრუნდება.



ნახ. დუმიტრუ ნეგრეასი (რუმინეთი).



ნახ. პეტერ დიტრიხისა (გდრ).

№ 783
79
26/XII

იანუშ ოსენკა
(პოლონეთი)

# სასტუმროში

მოქმედი პირები: სასტუმროს თანამშრომელი
სტუმარი

**სტუმარი:** სალამი! (ამთქნარებს) ოთახი გაქვთ?

**თანამშრომელი:** ჰმ... კია ერთი გაუქირავებელი.

**სტუმარი:** (ამთქნარებს) აბა, გთხოვთ!..

**თანამშრომელი:** ჰმ... იმ ოთახს კარგა მოდიდო სახურავი აკლია. ფართო ხვრელია ჭერში...

**სტუმარი:** ხვრელიო?! (ამთქნარებს) მერე, შეაკეთეთ, რაღას აყოვნებთ?!

**თანამშრომელი:** შესაკეთებელი ფონდი ამოგვეწურა.

**სტუმარი:** ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ ერთი დამაძინა და...

**თანამშრომელი:** თავბედს დაიწყევლით! იმ ოთახში ორკესტრი უკრავს!..

**სტუმარი:** რაო?! ორკესტრიო?! გასაოცარია! აბა, ისაო... (ამთქნარებს) თქვენ არ თქვით, ოთახი თავისუფალიაო?!

**თანამშრომელი:** მე ის გითხარით, გაუქირავებელია-მეთქი. საწოლები კია თავისუფალი, მაგრამ ოთახი ორკესტრს მისცეს, დასხედით და დაუკარით.

**სტუმარი:** ორკესტრს მისცეს?! რატომ უნდა უკრავდეს იმ ოთახში ორკესტრი?! არ მინდა!..

**თანამშრომელი:** მართალი ხართ, მაგრამ ხომ უნდა ამოეწურათ დარჩენილი გასართობი პროგრამის ფონდი?! ჰოდა, ჩვენც ავდექით, დავიქირავეთ ორკესტრი და მივეცით ოთახი. დაე, უკრან, სანამ ფონდი არ ამოიწურება.

**სტუმარი:** თქვენი ფონდიც და... ჰო, კარგი! (ამთქნარებს) საწოლები ხომ თავისუფალია?

**თანამშრომელი:** რა თქმა უნდა.

**სტუმარი:** მაშინ მომეცით ის ოთახი! ორიოდე საათს მაინც წავიძინებ!..

**თანამშრომელი:** ორიოდე საათისა რა მოგახსენოთ და, ერთ საათს კი მოასწრებთ.

**სტუმარი:** რაო?! ერთ საათსო?!

**თანამშრომელი:** სწორედ ერთ საათში მთავრდება სასტუმროს ერთი დღე-ღამე.

**სტუმარი:** კარგი, ბატონო, ორი დღე-ღამე იყოს! ასი ზლოტის ამბავია, არა?

**თანამშრომელი:** ასი კი არა, სამასი ზლოტი დაგიჯდებათ!

**სტუმარი:** სამასი?!. ვითომ რატომაო?!

**თანამშრომელი:** იმიტომ, რომ პირველ სართულზე ოთახის დაქირავებაში ჭამა-სმაც იგულისხმება.

**სტუმარი:** კარგია!.. ცოტას წავიხემსებ!..

**თანამშრომელი:** საჭმელზე ნურას უკაცრავად!.. სამზარეულო რემონტშია!..

**სტუმარი:** ჰო... ეს, ალბათ, იმას ნიშნავს, რომ ვერც ვერაფერს შევჭამ და ვერც ოთახს დაიქირავებ უამისოდ.

**თანამშრომელი:** ზედა ხართ!

**სტუმარი:** ჰოდა, მაშინ რა მესაჭმელება?! ასე ჯობია, ავიღებ მე მაგ ოთახს!

**თანამშრომელი:** ო, არა, ბატონო! ოთახებს მხოლოდ კარისკაცი იძლევა, მას კი საავადმყოფოს ფურცელი აქვს აღებული.

**სტუმარი:** მერე, ველარავინ შეცვლის?!

**თანამშრომელი:** ვერა! კარისკაცის სხვა შტატი არა გვაქვს!..

**სტუმარი:** თქვენ ვინღა ბრძანდებით?!

**თანამშრომელი:** მელიფტე ვარ!

**სტუმარი:** მელიფტეო?! ჰოდა, ლიფტში წავიძინებ ცოტას, ოღონდ მითხარით, სად არის!

**თანამშრომელი:** სამწუხაროდ, ლიფტი არა გვაქვს. არის მხოლოდ მელიფტის შტატი.

**სტუმარი:** ეჰ, რას იზამ! კი მეძნელება, მაგრამ (ამთქნარებს) საჩივრის წიგნი უნდა მოგთხოვოთ!

**თანამშრომელი:** არც საჩივრის წიგნი გვაქვს!

**სტუმარი:** არც ისა?!.

**თანამშრომელი:** კი გვაქვს, მაგრამ ჩასაწერი ადგილი აღარ დარჩა. სამაგიეროდ, შემიძლია, სხვა სასტუმროში გაგიშვათ!..

**სტუმარი:** კარგი, იქნებ რაიმე...

**თანამშრომელი:** (წერს) აი, ამ მისამართზეა — პრომენას 12.

**სტუმარი:** მადლობელი ვარ!.. (მოტრიალდება) ჰო!.. (ამთქნარებს) არის იქ თავისუფალი ოთახი?

**თანამშრომელი:** არა, თავისუფალი ოთახი ნამდვილად არა აქვთ, მაგრამ არის თავისუფალი ადგილი საჩივრის წიგნში!..

პოლონურიდან თარგმნა გიორგი მაჟუტაძემ